



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაგვანთა

ლაგვანთა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში (საკაოს თემი), მდ. საკაურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. გ. დ. 1120 მ, ონიდან 4 კმ. 72 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. ვახუშტი ბატონიშვილის რუკებზე აღნიშნულია ლაგვანთას, ხოლო ი. გიულდენშტედთან – ლ-ის სახელწოდებით. სოფელში შემორჩენილია ფეოდალური ხანის ციხე-დარბაზისა და ეკლესიის ნანგრევები.

თ. ბერაძე
